FROM THE HISTORY OF THE VILLAGE OF AKHLOURTKARI IN THE KSANI GORGE

ქსნის ხეობის სოფელ ახლოურთკარის ისტორიიდან

David Akhlouri
Doctor of History, Associate Professor of Gori State University, Gori, Georgia
ORCID: 0000-0002-1068-4042
(+995) 568 99 07 79; datoakhlouri@gmail.com

Abstract

The article talks about the occupied Akhalgori municipality village of Akhlourtkari.

When talking about the antiquities of the village, the attention is focused on the shrines of St. George, Sami, Lomtmshven, Elia Tezbiteli, Furi, as well as the shrines of St. Giorgi and Kyritskhoveli built in the neighboring village of Kveldaba, on those religious rituals that were characteristic of the life of the mountaineers of the Ksani valley. It is about estates called khatimitsi, their cultivation and harvest distribution.

The work also pays attention to the original inheritance of the relatives; They moved from the village of Khoshara in the back of Pshavi in the Ksani valley, the root surname was Gabidauri. The Tinikashvili, Balashvili and Khokrishvili who migrated from the Aragvi valley to Ksan are considered cousins of their relatives. They still firmly protect the well-known tradition of exogamy established in Pshav since time immemorial.

We find the first reports about the neighborhood in the statistical descriptions of the Ksni valley of the second half of the 18th century.

In the work, for the first time, the data of Russian chamber descriptions of the 19th century are published, which makes the research topic more important and relevant. The analysis of the sources begins with the first chamber census of 1804, followed by the censuses of 1814, 1821, 1830-1832, 1843, 1860, 1873 and 1886. The population of the 20th century is discussed according to the union censuses of 1923 and the following years and the first national census of 2002.

Census data of the 18th-20th centuries allow us to get to know the economic situation in the village, social relations, categories of peasants and taxes along with the demographic situation. The lands in the village belonged to the representatives of the ancestral house of the Ksani people.

The migration of the population from the village started in the 60s of the 20th century. The paper analyzes the reasons and consequences of the migration of the people to the foothills of the mountains and to the bar of Kartli. The microtoponyms of the village are explained: mountains, ridges, springs, arable areas, valleys, ravines... The reasons and consequences of population migration from the village are analyzed.

In order to better present the past of the village, together with historical sources, attention is paid to the folklore material preserved by the population of the Ksani valley.

Keywords: The valley of Ksani, St Giorgi, the land of Icon, censuses, The country seat land of Eristavi, Household, population.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საქართველო, გორი
ORCID: 0000-0002-1068-4042
+995568990779 datoakhlouri@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოურთკარის შესახებ.

სოფლის სიძველეებზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულია წმინდა გიორგის, სამების, ლომთმშვენის, ელია თეზბიტელის, ფურების სალოცავებზე, ასევე მეზობელ სოფელ ყველდაბაში აგებულ წმინდა გიორგისა და კვირაცხოველზე, იმ რელიგიურ რიტუალებზე, რომელიც ქსნის ხეობის მთიელთა ყოფა-ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი. საუბარია ხატიმიწებად სახელდებულ მამულებზე, მათი დამუშავებისა და მოსავლის განაწილების წესზე.

ნაშრომში ასევე ყურადღება ეთმობა ახლოურების თავდაპირველ სამკვიდროს; ისინი ქსნის ხეობაში უკანა ფშავის სოფელ ხოშარადან გადმოვიდნენ, ფუძე გვარი გაბიდაური იყო. ახლოურების ბიძაშვილებად მიიჩნევიან არაგვის ხეობიდან ქსანზე მიგრირებული თინიკაშვილები, ბალაშვილები და ხოკრიშვილები. გაბიდაურთა შთამომავლები დღემდე მტკიცედ იცავენ ფშავში ოდითგანვე დამკვიდრებულ ეგზოგამიის ცნობილ ტრადიციას.

ახლოურების შესახებ პირველ ცნობებს XVIII საუკუნის II ნახევრის ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში ვხვდებით.

ნაშრომში პირველად ქვეყნდება XIX საუკუნის რუსული კამერალური აღწერების მონაცემები, რაც საკვლევ თემას უფრო მნიშვნელოვანსა და აქტუალურს ხდის. წყაროების ანალიზი 1804 წლის პირველი კამერალური აღწერეით იწყება, რასაც მოსდევს 1814, 1821, 1830-1832, 1843, 1860, 1873 და 1886 წლების აღწერები. XX საუკუნის მოსახლეობაზე საუბარია 1923 წლის, ასევე მომდევნო წლების საკავშირო აღწერებისა და 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის მიხედვით.

XVIII-XX საუკუნეების აღწერათა მონაცემები საშუალებას გვაძლევს დემოგრაფიულ ვითარებასთან ერთად გავეცნოთ სოფელში არსებულ ეკონომიკურ ყოფას, სოციალურ ურთიერთობებს, გლეხთა კატეგორიებსა და გადასახადებს. სოფელში არსებული მიწები ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახლის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ.

სოფლიდან მოსახლეობის მიგრაცია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, ნაშრომში გაანალიზებულია ახლოურების მთისწინეთსა და ქართლის ბარში გადასახლების მიზეზები და შედეგები. განმარტებულია სოფლის მიკროტოპონიმები: მთების, ქედების, წყაროების, სახნავ-სათიბი ადგილების, ახოების, ხევების...

სოფლის წარსულის უკეთ წარმოსაჩენად, ისტორიულ წყაროებთან ერთად ყურადღება ეთმობა ქსნის ხეობის მოსახლეობაში შემორჩენილ ფოლკლორულ მასალას.

საკვანძო სიტყვები: ქსნის ხეობა, სალოცავები, წმინდა გიორგი, ხატის მიწები, აღწერები, ერისთავის მამული, კომლი, მოსახლეობა.

შესავალი

ახლოურთკარი მდებარეობს ქსნის მარცხენა შენაკად ცხრაზმის ხეობაში, ისტორიულ სოფელ ლარგვისის ჩრდილოეთით, ახალგორიდან 26-27 კილომეტრის დაშორებით. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ნასოფლარია.

ხმაურიანი, სიცოცხლით სავსე სოფელი იყო ახლოურების სამკვიდრო. ერთგვარ გზაჯვარედინსაც წარმოადგენდა იგი ქარჩოხისა და ცხრაზმის სოფლებისათვის, ამიტომაც ეწოდა ერთ-ერთ ქედს სასვენი (დასასვენებელი). სოფელ ჭორჭოხიდან სამარხილო გზა მიემართებოდა სამხრეთ-აღმოსავ ლეთით, მთასა და ტყეში რამდენიმე საათიანი მოგზაურობის შემდეგ გაივ ლიდა ნასოფლარ ყველდაბას, ახლოურთკარს და მიემართებოდა მარტიანისკენ, რომელიც ადრე წინუბნის სახელწოდებით იყო ცნობილი.

ფშავიდან ქსნის ხეობაში მიგრირებული გაბიდაურები ჯერ ქარჩოხის ხეობის სოფელ თინიკაანთკარში უნდა დასახლებულიყვნენ, შემდეგ კი ახალდაბაში (ბალაშვილები), ვაკეში (ხოკრიშვილები) და ყველდაბაში (ახლოურები).

ახლოურების ყველდაბაში დასახლება სავარაუდოდ, XVIII საუკუნის II ნახევარში უნდა მომხდარიყო. თინიკაშვილების შთამომავლები ამ დროს უკვე ცხოვრობდნენ ცხრაზმის წინ უბანში და აბუთკარში. რამდენიმე კომლი შედარებით ბარში - კორინთაში დასახლდა...

სოფლის უხუცესთა გადმოცემით, ახლოურთში უნდა ყოფილიყო გაბიდაურების ძველი საფლავები და ნამოსახლარი, სადაც შემორჩენილია საგვარეულო კოშკის ნანგრევები. არ არის გამორიცხული, გაბიდაურების ერთი შტო ფშავიდან გადმოსვლისთანავე დამკვიდრებულიყო თანამედროვე ახლოურთის ტერიტორიაზე, სადაც ვერ გამრავლებულან... ეს ბუნებრივია, ეცოდინებოდა თინიკაანში დასახლებულ გაბიდაურთა მეორე შტოს, რომლის წარმომადგენელიც სახლდება შემდგომ გაბიდაურთა ძველი საცხოვრისის ახლოს.

ყველდაბაში დასახლებულ ახლოურს კაცი შემოჰკვდომია, დავა მამულის გამო ჰქონიათ (მთხრობელი გიორგი ახლოური, დაბადებული 1929 წელს). სტუმარს ყველდაბაში ახოები გაუტეხია, მთის მოსახლეობა სახნავი მიწების ნაკლებობას განიცდიდა, ამიტომ „განსაკუთრებით დიდ შრომასა

და ენერგიას ხარჯავდნენ მიწათმოქმედების სფეროში. ისინი ხნავდნენ არა მარტო სოფლის ახლო მდებარე ნაკვეთებს, არამედ მთის კალთებსა და ფერდობებსაც კი. სახნავი ადგილების გაფართოების მიზნით ჩეხავდნენ ტყეებს, თხრიდნენ დეკას და იელს“ (ითონიშვილი, 1974: 22). „სახნავი მიწის მეტისმეტად სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითოეული ნაკუწი“ (ჩიტაია, 1940: 486). გატეხვა კი ყამირის მოხვნას ეწოდებოდა (სომხიშვილი, 1981: 17). ახლოურს ყველდაბაში სამამულე ადგილისთვის ტყე გაუჩეხია და დაუმუშავებია. ყველდაბელებს კი მისი წართმევა მოუნდომებიათ, რამაც „სტუმრის“ მხრიდან ერთ-ერთი მოდავის მკვლელობა გამოიწვია. მოსისხლესთვის ახალგორში, ერისთავთან უჩივ-ლიათ. დამნაშავე ყველდაბიდან გაუძევებიათ და იქვე ახლოს დაუსახლებიათ (აქედან უნდა მომდინარეობდეს გვარის სახელწოდებაც - ახლო (სახელის ფუძე) ური (გვარის მაწარმოებელი სუფიქსი), იმ პირობით, რომ ომიანობის დროს, პირველ რიგში, მას გაიწვევდნენ და დანაშაულს ბრძოლის ველზე გამოისყიდიდა.

სოფელი ახლოურთკარი ყველდაბასთან ახლოს, რამდენიმე მეტრში მდებარეობს, შედარებით მთიან ზოლში. მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ახლოურებს ყველდაბელებთან ურთიერთობა არასოდეს შეუწყვეტიათ, უფრო მეტიც, XX საუკუნის დასაწყისამდე მიცვალებულებს ყველდაბის საერთო სასაფლაოზე კრძალავდნენ, რასაც ჩვენს მიერ შესწავლილი საფლავის ქვების წარწერები ადასტურებს. პირველი, ვინც მშობლიურ სოფელში დაკრძალეს, ლიზა ახლოური ყოფილა, რომელიც 1903 წელს გარდაიცვალა.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული ქართული და უცხოური წყაროების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, სოფელში წლების მანძილზე არსებული ისტორიული ვითარება, დემო-გრაფიული და სოციალური სურათი, მცხოვრებთა ეკონომიკური, რელი-გიური და ეთნოგრაფიული ყოფა... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხ-მარება ახლოურთკარში მცხოვრებთა შიდა მიგრაციის რუკის განსაზღვრაში. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების შესახებ ჩვენამდე ვრცელ მასალას არ მოუღ-წევია, საკითხის კვლევას კიდევ უფრო ართულებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპაცია, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ სოფელი ახლოურთკარი ჩემთვის მშობლიური იყო და განსაკუთრებით ახლობელი. კარგად ვიცნობდი ქართლის ამ მაღალმთიანი სოფლის გეოგრაფიულ გარემოს, იქ მდებარე სალოცავებს, მოსახლეობის

რელიგიურ და ეთნოგრაფიულ ყოფას, ხალხში გაბნეულ ფოლკლორულ მასალას, რამაც გამიადვილა ჩვენამდე მოღწეული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული ფაქტების ახლებურად წარმოჩენა.

ნაშრომში მოძიებულია ცნობები ახლოურთკარის წარსულის, სოფლის სალოცავებისა და სხვა ისტორიული ნაგებობების შესახებ, მითითებულია მათი ადგილმდებარეობა და დანიშნულება. პირველად ქვეყნდება მთელი რიგი ისტორიული წყაროები, მათ შორის XIX საუკუნის კამერალური აღწერები, რომლებიც უნიკალური მასალაა იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ სოფლის ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური ყოფა-ცხოვრება.

საკვლევ თემას კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახლოურებისაგან მოძიებული ინფორმაცია.

მსჯელობა

პირველ რიგში, რაც ნასოფლარ ახლოურთში ჩვენს ყურადღებას იქცევს, ნასახლარებისა და სალოცავების ნაშთებია.

სოფლის მთავარი საგვარეულო სალოცავი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, რომელიც აგებულია ადგილობრივი წარმოშობის თლილი ქვით. დარბაზული, სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიის კედლები გეგ-მით მართკუთხედია. საკურთხევლის მხარი ჩრდილოეთითაა, სადაც გაჭრილია შესასვლელი და სარკმელი. ტაძარი აღდგენილია 2007 წელს. ეკლესიაში დაცულია ორი ზარი, ერთი ტაძრის აგების თანადროული უნდა იყოს, მეორე - რესტავრატორთა მიერ შეწირული მოსახსენიებელი წარწერით: „უფალო იესო ქრისტე შეიწყალე ორთავ სოფელსა შინა კარლო და მარადი ახლოურები.“ წმინდა გიორგის სალოცავში ტარდებოდა როგორც გიორგობის, ისე ამაღლების დღესასწაულები. დეკანოზი თამაზ ვარდოს ძე ახლოური იყო, უფრო ადრე ბიძამისი ლადო ახლოური ყოფილა. დეკანოზი ხატის მსახურია, რომელიც ასრულებდა სახატო რი-ტუალს - გამოაბრძანებდა ხატებს, დროშებს, სწირავდა მსხვერპლს, განაგებდა ხატის ქონებას. „წინედ თემში დეკანოზებს გავლენა ჰქონდათ და მათ თემის საკულტო საქმეებთან ეკითხებოდათ საოჯახო და საზოგადო საქმეებიც. დეკანოზს ხშირად მოციქულადაც აგზავნიდნენ, რადგან მისი გაცუდება ხატის შიშით არავის შეეძლო.» დღეს „დეკანოზი ხატის ქონების გამგე და მეთვალყურეა... განსაზღვრულ ჯამაგირს არ იღებს, არც ხატის ყმები აძლევენ დამწყალობებისათვის თავიანთ გვარის დეკანოზს რაიმე გასამრჯელოს.» (მაკალათია, 1930: 152). დეკანოზს ეკუთვნოდა შეწირული საკლავის ტყავი, ბეჭი, თავ-ფეხი. ხშირად ხატს ფულსაც სწირავდნენ, რომელიც ისევ სალოცავს უნდა მოხმარებოდა. ხატობაში იკრიბებოდა მთელი სოფლის დიდ-პატარა, იკვლებოდა რამდენიმე საკლავი (ბატკანი, ყოჩი, მოზვერი...), 7-8 საშუალოდ. მსხვერპლს თვითონ დეკანოზი სწირავდა, დაამწყალობებდა, სანთელს აანთებდა, სამჯერ შემოატარებდა ტაძარს და მარცხენა ყურსა და ბეჭს სანთლით უტრუსავდა. მანამდე კი გამოაბრძანებდა მაცხოვრისა და წმინდა გიორგის ხატებს, რომლის წინაშეც მუხლს იყრიდა ყველა მლოცველი. ხატში დედალი საქონლის შეწირვა მიღებული არ იყო.

მსხვერპლის შემწირველს შეწირული საკლავის ხორცი სახლში არ უნდა წამოეღო, თუ დარჩებოდა, სხვებს გაუნაწილებდნენ. ზოგჯერ ხდებოდა უსისხლო მსხვერპლთშეწირვაც „როცა დანაპირებს ცოცხლად სწირავენ უფალს. კერძოდ, შესაწირს სამი გზის გასაყარზე მიიყვანენ (ან ეკლესიის ეზოში), პირით აღმოსავლეთისაკენ დადგებიან, სამჯერ შემოავლებენ შევედრებულ პირს, თოკს შეხსნიან და გაუშვებენ.» (ლაშხია, 2004: 403). როგორც თენგიზ გიორგის ძე ახლოური (75 წლის) იხსენებს, დეკანოზი ლადო ახლოური ასე ამწყალობებდა თითოეულ მლოცველს: „დიდებულო უფალო, მაღალო ღმერთო, მოსულა შენს კალთის ქვეშ (იტყოდნენ სახელს და გვარს) თავისი ოჯახით, თავისი ცოლ-შვილით, მოუყვანია საკლავი, მოუტანია სანთელი და სამწყალობო, გახვეწებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილს, შინაურებს, ახლობლებს - მიიღე ჩემგან შესაწირი და სამწყალობნო, შენი ყმა ვარ, შენი ყმის შვილი, შემეწიე, შენი წყალობა გამატანეო მაღალო ღმერთო!» დეკანოზის სიტყვებს და ზარების ხმას მოჰყვებოდა საერთო შეძახილი - „ომენ!» (იგივე „ამინ“-აღსრულდეს) (ახლოური, 2020: 32).

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა სოფელში ახლოურთშიც ტერიტორია, რომელზეც ხატი იყო დაბრძანებული, იწოდებოდა ხატის მამულად, ხატის ყანად, ხატის მთად... გარდა ამისა, ხატს ხშირად სწირავდნენ მამულებს. „ხატის მიწა იქიდან გვაქვს, რომა ადგებოდა ვინმე უწილო კაცი და შესწირავდა თავის მამულს ხატს სულის სადიდებლად» (ითონიშვილი, 2003: 69). ზოგჯერ „ხატი რომ მიზეზს მისცემდა ოჯახს, ან საკლავს შესწირავდნენ, ანდა მამულს». ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფელში ხატის მიწებად წოდებული მამულები საკმაო ფართობს მოიცავდა. ვ. ითონიშვილი ახლოურთში ხატის მიწის ერთობლივი დამუშავებისა და მოსავლის საერთო-სასოფლოდ მოხმარების შემთხვევებს აფიქსირებს (ითონიშვილი, 2003: 118). წმინდა გიორგის სალოცავის სიახლოვეს მდებარეობს სოფლის სასაფლაოც, სადაც მხოლოდ ახლოურები არიან დაკრძალულები.

ახლოურები ასევე ლოცულობდნენ ყველდაბაში აგებულ წმინდა გიორგის სალოცავში. გადმოცემით, ახლოურთიდან აკვანი დაგორებულა და ყველდაბაში, სადაც გაჩერდა, იქ ხატი ააგეს ბავშვის უვნებლად გადარჩენის აღსანიშნავად. ლოცულობდნენ როგორც ახლოურები, ისე ყველდაბელები. იქვეა სასაფლაოც, სადაც ახლოურებთან ერთად განისვენებენ ღარიბაშვილები, მაჭარაშვილები... ყველდაბის წმინდა გიორგის ხატის წინაშე ცხენიან კაცს გავლის უფლება არ ჰქონდა. უნდა ჩამოქვეითებულიყო, მუხლი მოეყარა, ქუდი მოეხადა და ისე გაეგრძელებინა გზა. „ზოგიერთებმა დაგვისახელეს ზებუნებრივი ქმედების შედეგი, როდესაც ვიღაცას ქვენაყველდაბას მდებარე ხატის მიწაზე ცხენით გაუვლია და გაშეშებულა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარნილ კაცს გამოსავალი იმაში დაუნახავს, რომ პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს - ოღონდ გამიშვი და ეს მამული შენს ბეგარაში იყოსო» (ითონიშვილი, 2003: 106-107).

ასევე ახლოურებისა და ყველდაბელების საერთო სალოცავი იყო კვირაცხოვლის ნიში, დეკანოზები მაჭარაშვილები იყვნენ. ბოლოს ზურაბ ღარიბაშვილი ასრულებდა დეკანოზის ფუნქციებს. სალოცავში აღდგომის მეორე კვირას მიჰყავდათ საკვირაცხოვლო მამლები. სოფელ ახლოურთში

ბოლოდრომდე შემორჩენილი იყო დიდი წიფლის ხეებით გარშემორტყმული წმინდა სამების ეკლესიის კედლები და იქვე ახლოს - ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველის ელია თეზბიტელის სახელობის ნიში. ელიას ქედზე სოლომნიანთ (გვარის ერთ-ერთი შტო) მფლობელობაში ყოფილა სათიბი მამული, სადაც 25 ძირი თივა ითიბებოდა. იგი ხატის მიწად იწოდებოდა და წმინდა ელიას სახელზე იყო განპირობებული. „იმ შემთხვევაში თუ მას სხვა გვარის (ახლოურის გარდა - დ.ა.) გათიბავდა, თივა შუაზე იყოფოდა დამქირავებელსა და პატრონს შორის. სეტყვის თავიდან აცილების მიზნით კი სოლომნიანნი ციკნებს მაინც კლავდნენ, რაშიც სათიბის დამქირავებელი არ მონაწილეობდა“ (ითონიშვილი, 2003: 112). ელიაობა ორ აგვისტოს აღინიშნებოდა. ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ დედოფლისწყაროში, სადაც, ელიას მთაზე წმინდანის სახელობის VI საუკუნის ტაძარი დღემდეა შემორჩენილი.

ახლოურებისა და ჭორჭოხელების საერთო სალოცავი ყოფილა ლომთმშვენი. ახლოურთში ნიში იყო მისი სახელობის, ჭორჭოხში კი - საუკუნეების წინანდელი ტაძარი, რომელზეც შემორჩენილია გოდერძი გდუელის მოსახსენიებელი მეათე საუკუნის წარწერა. ლომთა სალოცავში ლოცულობდნენ ამაღლების დღესასწაულზე ჯერ ზემოთ ახლოურთში, შემდეგ ქვემოთ - ჭორჭოხში.

საბჭოურ პერიოდამდე საქონლის კეთილდღეობას ავედრებდნენ ფურების სალოცავს, რომელიც ყველდაბის მხარეს მდებარეობს. ამ სოფლის ბოლო მცხოვრების ნიკა ღარიბაშვილის ინფორმაციით, უკანასკნელ წლებში არც სანთლებს ანთებდნენ და არც ქადებს აცხობდნენ. თვითონ ნიში სამფეხა სკამის სტილისაა, სამ მაღალ ქვას გადაფარებული აქვს ერთი მთლიანი სიპის ქვა. ნიში საძოვრის გზაზე მდებარეობს და კომუნისტების მმართველობის პერიოდში საქონლისათვის სამარილე ქვად იყენებდნენ... ფურების კულტისადმი პატივისცემა წარმართულიდან უნდა მომდინარეობდეს. ზოგადად, ცნობილია, რომ ქართულ მითოლოგიაში მზის განმასახიერებელი ქალღმერთია ბარბალე, რომელსაც ეთაყვანებოდნენ როგორც ქალის ნაყოფიერების საწყის მფარველ ღვთაებას, ხალხის რწმენით, მასზე იყო დამოკიდებული, ფრინველისა და მსხვილი რქოსანი საქონლის განაყოფიერება. ფურების სალოცავი ფიქსირდება ფშავშიც, გაბიდაურთა თემიდან ქსანზე გადმოხვეწილ ახლოურებს შესაძლოა ძველი რწმენის გათვალისწინებით აეგოთ ეს ნიში.

ახლოურთკარის ეთნოგრაფიული ყოფიდან აღსანიშნავი აქ არსებული მარნის, იგივე ღვინის სახლის ორი სხვადასხვა ტიპი:

1. სოლომონიანთ მარანი იყო დუღაბით ნაშენი. ვენახები ჰქონდათ ქსოვრისში, იქიდან მოჰქონდათ ტკბილა და ასხავდნენ ცხავატურ ქვევრებში, აშენებდნენ ზედაშეებს. ქვევრებში ასევე ინახავდნენ არაყს, ყველს, ერბოს და არყის ნახად ე.წ. თხლეს საქონლის საკვებად.

2. შალოანთ მარანი მიწით აგებული სამსართულიანი შენობა ყოფილა და საცხოვრებელ სახლთან ერთად ერთ მთლიან ნაგებობას წარმოადგენდა. პირველ სართულზე განთავსებული იყო ღვინისა და არყის ქვევრები, მათ წირქოლში ჰქონიათ ვენახი და ღვინოც იქიდან მოჰქონდათ. მეორე

სართულს ჩრდილოეთით ჰქონდა კარები, იქ თხების სადგომი იყო და გომ-ბოსელს ეძახდნენ. მესამეზე - თივას და ფოთოლს (ძირითადად, იფანს და მუხას) ინახავდნენ. ამ მარნის გვერდზე შალოანთ ნასახლართან შემორჩენილია პატარა სალოცავი. დღეს აღარ ახსოვთ, რა სალოცავი იყო, ამბობენ, რომ იქ იდგა ციხე, რომელიც ახლოურების მოსვლამდე ძველად ვინც ცხოვრობდა, მათ ეკუთვნოდათ, მოგვიანებით გავერანებულა და აღარ აღუდგენიათ. კოშკის ერთი კუთხე სასანთლისთვის იყო დათმობილი და წმინდა ადგილად მიიჩნეოდა. ახლოურთში აღწერილის ანალოგიური მარნები ჰქონიათ სოფელ ჭორჭოხში ბალხამიშვილებს, მახიარეთში ჩერქე-ზიშვილებსა და ბუნტურებს (ახლოური, 2018: 2).

საინტერესოდ იყო მოწყობილი სოფლის წყარო, რომელიც მთიდან მოედინებოდა 800 მეტრის მანძილზე ქვის ღარებით. სავარაუდოდ, საერთო აუზში, რომელიც სოფლის წინ 3 მეტრში იყო მოწყობილი, ორი წყარო ერთდებოდა. აუზი ორთვლიანი იყო ანუ ორი ნაწილისაგან შედგებოდა. თითოეულს მეტრანახევრის სიღრმეში ჩაფლული მწვანე მეგალითური სიპის ქვა ყოფდა. უკანა აუზი ყრუ და ბნელი იყო, სიგრძე-სიგანე 1,5 მ - 1,5 მ.-ზე, კვადრატული ფორმის. წინა - შედარებით პატარა 1მ. -1მ. - ზე. სახლივით გადახურული აუზის კედლის სიმაღლე 40 სმ.-ს აღწევდა. მწვანე ქვას ჰქონდა პატარა სარკმელივით გამოსაღები, საიდანაც ქვის ღარით გადმოდიოდა წყალი. იქვე გამართული იყო ალაზანი. უფროსი ასაკის ქალები განსკუთრებით უფრთხილდებოდნენ აუზის სიწმინდეს, დღეში ორ-სამჯერ წმენდნენ და ყველას უკრძალავდნენ ჭურჭლის ან სხვა რამის გასარეცხად აუზის წყლის გამოყენებას. ჭურჭელი ჯერ ალაზანში უნდა გაერეცხათ და მერე აეღოთ აუზიდან წყალი. აქვე ხდიდნენ არაყსაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლოურების შესახებ პირველი ცნობები ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში გვხვდება. 1774 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით ყველდაბაში ცხოვრობდნენ:

„აქავ ახლოური დათუნას შვილი „თავი დ, დათუნა, ბალია, ოთარა და მგელია.» (ჯავახიშვილი, 1967: 190; თაყაიშვილი, 2023: 691). ამ დროს და მოგვიანო პერიოდშიც სოფელი ახლოურთკარი ყველდაბასთან იყო გაიგივებული და დაბადების მოწმობაშიც ახლოურებს, მშობლიური სოფლის მაგივრად, ყველდაბას უთითებდნენ. ამდენად, შეიძლება 1774 წლის აღწერით ყველდაბის მცხოვრებთა შორის ნახსენები ახლოურები არა ყველდაბაში, არამედ ახლოურთკარში ცხოვრობდნენ. რაც გადმოცემის მიხედვით, ასეც უნდა ყოფილიყო. ახლოურების მხოლოდ ერთი კომლია აღწერაში მოხსენიებული „აქავ ახლოური დათუნას შვილი, კომლი ა, თავი დ, დათუნა, ბალია, ოთარა, მგელია“. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „თავი“ კომლში ოჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს. კომლში შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს, თითოეულ ოჯახს ეყოლება „თავი“ ანუ უფროსი – „მამა“ (ჯავახიშვილი, 1901: 5). ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ რიცხვი „თავთა“ არ იყო იმის მაჩვენებელი, თუ რამდენი სული იყო კომლში, აღწერის მიზანი იყო „სცოდნოდათ, თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა ომიანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომურს ედვა სახელმწიფო გადასახადი“ (თაყაიშვილი, 2022: 640). ვ. ითონიშვილის მოსაზრებით

„თავი იყო უფროსი საკუთარი ცოლ-შვილისა, ხოლო ვინაიდან რამდენიმე ასეთი უფროსისა და მათი ოჯახების ერთ ჭერქვეშ ყოფნა იგულისხმება; ცხადია, რომ ასეთ გაერთიანებასაც უნდა ჰყოლოდა ერთი საერთო ხელმძღვანელი, დიდი ოჯახის მეთაური, ამის შესახებ აღწერაში არაფერია ნათქვამი. ამიტომ ოჯახში, სადაც რამდენიმე „თავი“ იმყოფებოდა, საერთო ხელმძღვანელობა მათ შორის ხნით უფროსს უნდა დაჰკისრებოდა. ამის მიხედვით, „დიდი ოჯახის მეთაურად უნდა ვიგულოთ „თავების“ წინ დასახელებული პიროვნება“ (ითონიშვილი, 1974: 11). ჩვენ შემთხვევაში ასეთად უნდა მივიჩნიოთ დათუნა ახლოური, გვარის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, რომელიც, სავარაუდოდ, ბალიას, ოთარის და მგელიას მამა უნდა ყოფილიყო ან უფროსი ძმა, ოჯახის მეთაური. იმავე აღწერაში ახლოურების ერთი კომლი ცხაოტის/ცხავატის მცხოვრებთა შორისაც იხსენიება, როგორც ბოგანო: „აქავ ბოგანო ახლოური გიორგის შვილი კომლი ა, თავი ბ, ქიტესა და აღდგომელა“ (ჯავახიშვილი, 1974; 194; თაყაიშვილი, 2022: 697). სულხან-საბას განმარტებით ბოგანო უაგარაკო გლეხია, აგარაკ-მცირე გლეხი (სულხან-საბა ორბელიანი, 1991: 107). უფრო კონკრეტულად მიგვითითებს ბოგანოს შესახებ ვახტანგ VI „ბოგანო ამას ჰქვიან, რომ ვენახი არა ქონდეს, თითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების ან არა“ (გვრიტიშვილი, 1955: 198). ცხავატში დასახლებულ გიორგი ახლოურს და მის ოჯახს იქ ან მცირე მამული ჰქონდა ან საერთოდ არ ჰქონდა და სხვის კუთვნილ მიწას ამუშავებდა. ამ დროს გიორგის ოჯახი ახალგადასახლებული უნდა ყოფილიყო ქსნის ხეობის შედარებით ბარის სოფელში.

1783 წლის აღწერით ყველდაბის მცხოვრებთა შორის ღარიბაშვილების, მაჭარაშვილებისა და ჩიტიშვილების გვერდით, პირველ რიგში ახლოურები არიან მოხსენიებულნი:

„ყველდაბიდამ:

ქ. ახლოური დათუნას შვილი კომლი ა, სიხარული შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი.

ქ. ახლოური ოთარას შვილი კომლი ა, თავი ბ, მეგლია (მგელია - დ.ა.), გოგია.“ (ჯავახიშვილი, 1974: 236; თაყაიშვილი, 2022: 659). აქ ყურადღებას იქცევს სიტყვა „შეუძლებელი“, სულხან-საბას განმარტებით, შეუძლებელია - რაც ვერ შეიძლოს (სულხან-საბა ორბელიანი, 1992: 295), როგორც ჩანს, სიხარული (საკუთარი სახელია), ამ დროს სამხედრო საქმისთვის შეუძლე-ბელი, რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე ან მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო. წინა აღწერასთან შედარებით ახალ აღწერაში ნახსენები აღარ არიან დათუნა და ბალია, სანაცვლოდ, ერთი კომლის ნაცვლად, აღწერაში ორ კომლი და ორი ახალი წევრია - სიხარული და გოგია. „ცხავატის სიებში“ კი 1783 წლის აღწერით ახლოურებს ვეღარ ვხვდებით. შესაძლებელია „ცხვატელი“ ახლოურები სხვა რომელიმე სათავადოში გადასახლდნენ.

1803 წლის ივნისის საუფლისწულო აღწერის ცნობებში ახლოურთკარი ცალკე სოფლადაა მითითებული ცხრაზმის ხეობის ქართველებით დასახ-ლებულ სოფლებს შორის. სოფელში სულ 3 კომლია, ცხრამეტი მამრობითი სქესის და ათი მდედრობითი (29 სული) (Акты, 1868: 83).

1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერით ყველდაბის მცხოვრებთა შორის 9 ოჯახი მოიხსენიება, ყველა მათგანი ქართველია, აქე-დან 3 ოჯახი ახლოურები არიან:

1. სიხარული ახლოური, 1 კომლი, 4 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის, ოჯახის მფლობელობაშია 6 დღის სახნავი მიწა, 14 დღის სახნავად გამოუყენებელი (სათიბისთვის განკუთვნილი ან გასაძოვრებული), თიბავენ 20 თივას. მებატონისთვის თანხა არ გადაუხდიათ...

2. გელია ახლოური, 1 კომლი, 4 მამამაკაცი და 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 6 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა. გადახდილი აქვთ ხორბალი 1/4 კოდი (2 ½ ლიტრა), ასევე ფული - 50 კაპიკი, ერთი ქათამი და 5 კვერცხი, სულ 82 1/2 კაპიკი.

3. გოგია ახლოური, 1 კომლი, 5 მამაკაცი და 2 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა. გადახდილი აქვთ 82 1/2 კაპიკი, თუმცა ჩამოთვლილი არაა, რა სახით, მაგრამ, სავარაუდოდ, გელიას ოჯახის მსგავსად, ნაღდი ფულის, ქათმის და კვერცხის სახით (გსიემ, 1956: 123). სულ სოფელ ახლოურთკარში უცხოვრია 13 მამრობითი სქესის და 10 მდედრობითი სქესის მოსახლეს (23 სული). 1803 წლის საუფლისწულო აღწერის მონაცემებთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა 29-დან 23-მდეა შემცირებული, მამაკაცთა რაოდენობა 6-ით ნაკლებია. სახნავი მიწების ფართი შეადგენს 14 დღიურს (დღიური ფართობის საზომი ერთეული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, იგულისხმებოდა მიწის რაოდენობა, რომელსაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა. XIX საუკუნეში დღიური მიწა დაახლოებით 0,39-0,5 ჰა უდრიდა (ჯაფარიძე, 1978: 663), სახნავად გამოუყენებელი - 27 დღიურს, თიბავენ 30 თივას, გადახდილი აქვთ 1 მანეთი და 65 კაპიკი.

ახლოურთკარში, როგორც მთიანი რეგიონის მთელ რიგ სოფლებში, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაშეფარდება იცვლებოდა და სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. მაგალითად, XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე ახლოურთკარის ტერიტორიის დიდი ნაწილი იხვნებოდა, 60-იანი წლებიდან კი, როცა შესაძლებელი გახდა ხორბლის და ფქვილის შეძენა, სახნავი მიწები თანდათან გაასაძოვრეს და მიწათმოქმედების ნაცვლად სასაქონლო მეურნეობა განვითარდა. თუმცა, მესაქონელობას ქსნის ხეობის მთიან ზოლში ყოველთვის ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი. ოდითგანვე ყველა ოჯახს ჰყავდა ცხვარი, თხა, მსხვილფეხა საქონელი...

1814 წლის კამერალური აღწერაში ახლოურები წინუბნის მცხოვრებთა შორის არიან, იმ დროისთვის ახლოურთკარში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ: დავით, მიხეილ, მირმანოზ და სოლომონს ერისთავებს. სულ ახლოურთკარში უცხოვრია ახლოურების 4 კომლს, 12 მამაკაცსა და 13 ქალს (25 სული). სახნავი მიწების რაოდენობა შეადგენდა 28 დღიურს. ჩანს, დამუშავებული მიწების ფართობი საძოვრად განპირობებული მიწების ან ახოების გატეხვის ხარჯზე გაზარდეს. (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურცელი 143).

1821 წლის მონაცემებით, ახლოურები ისევ ყველდაბის მკვიდრთა შორის გვხვდებიან, თუმცა შენიშვნაში მინიშნებულია, რომ ახლოურები ახლოურთკარში ცხოვრობდნენ. ყმები და მიწები ეკუთვნოდათ პოლკოვნიკ, თავად მიხეილ ერისთავსა და მირმანოზ, სოლომონ და დავით ერისთავებს. ოთხ კომლიან სოფელში ცხოვრობს 19 სული, 13 მამრობითი სქესის და 6 მდედრობითი (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689, ფურ. 774-777).

1830-1832 წლების კამერალური აღწერების დროს ახლოურთკარში (ანანურის მაზრა), მირმანოზ ერისთავის ვაჟების, ესტატე და კონა ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები იყვნენ: სულ 4 კომლი 11 მამრობითი სქესის (საქმე 254, ანაწერი 1, აღწერის № 2038. ფურცელი 67).

ამავე პერიოდის ახალგორის მცხოვრებთა სიაში აღნუსხულია ოთარ ახლოურის ოჯახი, რომელიც 1830-1832 წლების აღწერაში ახლოურთკარის მცხოვრებთა რიგშია, თუმცა შემდგომში გადახაზული, სოფლიდან მიგრაციის გამო (საქმე 254, ანაწერი 1, აღწერის № 2038. ფურცელი 39).

1860 წლის 19 თებერვალს შედგენილი კამერალური აღწერის მონაცემებით, გორის მაზრაში შემავალ ახლოურთკარში თავად ესტატე მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ:სულ სოფელ ახლოურთკარში ცხოვრობს 3 კომლი, 15 მამრობითი სქესის, 10 მდედრობითი (25 სული), ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255, ფურცელი 312-315).

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახლოურთკარში დასახლდნენ ჩიტიშვილები, რომლებიც მანამდე სოფელ ჩიტიანთკარში ცხოვრობდნენ. ვ. ითონიშვილის მიხედვით: „ოთხი ძმა ნარიმანიძე, რომელთაგან ერთ-ერთი მღვდელი ყოფილა, შონჩოდან ქსნის ხეობაში გადმოსახლებულან. ერთი მათგანი დასახლებულა ადგილზე, რომელსაც ეწოდება ახლოურნი, მეორე ძმა დამდგარა მარტიანთში, მესამე დამკვიდრებულა უკანუბანში, ხოლო მეოთხე ძმას საცხოვრებლად აურჩევია სოფელი, რომელსაც შემდეგში ნარიმანიძეების შემადგენლობიდან გამოყოფილი ახალი გვარის სახელის მიხედვით უწოდეს ჩიტიანი“ (ითონიშვილი 1974, 75). მკვლევარის მონათხრობი, რომელიც ხალხურ გადმოცემებზეა დაყრდნობილი, დასაზუსტებელია და გარკვეული ფაქტები ისტორიულ რეალობას აცდენილი, რასაც ჩვენს მიერ განხილული 1860 წლის აღწერაც ადასტურებს. მაგალითად, თუ ჩიტიშვილები და ნარიმანიძეები 1774 წლის აღწერის დროს ჩანან უკანუბანში და ჩიტიანში, ახლოურთკარსა და მარტიანში (ადრინდელი წინუბანი), თითქმის საუკუნის მერე სახლდებიან და ამ ოთხ სოფელში დამკვიდრებული ჩიტიშვილები ერთმანეთის ძმები ვერ იქნებოდნენ (ახლოური, 2023: 28-29).

1860 წლის აღწერაში ახლოურები სოფელ ყველდაბის მცხოვრებთა რიგშიც მოიხსენიებენ. კონა მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრებ ყმებს შორისაა გიგოლა ივანეს ძე ერისთავის ოჯახი (გამორჩენილია გარსი (გარსევან) - 29 წლის). ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზეა. რუსულ ტექსტში კომლი შემდეგ გადახაზულია და მითითებულია, რომ უკვე ნაჩვენებია სოფელ ახლოურთკარის მცხოვრებთა შორის, №2 კომლად.

იქვე ივანე ახლოურის ოჯახიც აღუწერიათ:

ივანე ოთარას ძე ახლოური - 40 წლის, ამისი შვილები: ზაქარა - 15 წლის, ახალშობილი, გაბო - 10 წლის, ახალშობილი, ნიკო - 7 წლის, ახალშობილი, ტატო - 1 წლის, ახალშობილი. რიცხვი დედაკაცთა - 2.

რუსულ ტექსტში კომლი გადახაზულია და მითითებულია, რომ ცხოვრობს გორის მაზრის სოფელ რეხაში. ივანეს ოჯახი რომ რეხაში გადასახლდა ამის შესახებ 1843 წლის აღწერებზე საუბრის დროსაც აღვნიშნეთ,

ივანე მამასთან და ძმასთან ერთად ჯერ ახალგორში დასახლებულა, შემდეგ კი მისი ოჯახი რეხაში დამკვიდრებულა (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურცელი 11-16).

1873 წლის აღწერაში ახლოურთკარი თფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მთის ნაწილსაა მიკუთვნებული და შედის დაბაკნეთის საზოგადოებაში. მებატონეები არიან თავადი ესტატე ერისთოვი (ერისთავი) და კნეინა მარიამ ჭავჭავაძე.

თავად ესტატე ერისთავის მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები: სრულებით დროებით ვალდებულნი გლეხნი 3 კომლი, 15 სული მამრი და 13 სული მდედრი (28 სული). სულ ქართველნი. მართლმადიდებელი ქრისტიანები. ახლოურები 2 კომლია, 23 სული, 13 მამრობითი და 10 მდედრობითი სქესის, ჩიტიშვილები - 1 კომლი.

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი: „ყველა ამ სიით ნაჩვენები კომლნი, სულნი, რომელნიც იყვნენ თვალად 18 აგვისტოს 1873 წლისა, ნაჩვენებნი არიან სისწორით და გაშვებული არავინ არის. გარნა თუ აღმოჩნდეს, მაშინ უნდა შევარდეთ პასუხის გებაში საფუძველზედ კანონების წარმოებისათვის აწინდელი კამერალნის აღწერისა, რომელსაზედაც ხელს მოვაწერთ გიორგი ჩიტიშვილი, ჩერქეზა ბუნტური, გიგო ბაშარული და ფოცხვერა ბერიანიძე. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით ხელს ვაწერთ ამათ მაგიერ ბესარიონ ჯაბიევი“. დამოწმებულია დაბაკნეთის საზოგადოების მამასახლისის ზაქარია ყველაშვილის ბეჭდით (ფონდი 254 ანაწერი 2, საქმე 226. ფურცელი 357-361).

1886 წლის საოჯახო აღწერების სიებში, მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის“; 3. წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა.სულ სოფელ ახლოურთკარში ცხოვრობდა 4 ოჯახი, 18 სული მამრობითი და 18 მდედრობითი სქესის. აქედან ახლოურები - 3 კომლი, 15 სული მამრობითი და 17 მდედრობითი. ჩიტიშვილი - 1 კომლი, 3 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

ქართველები. მართლმადიდებელი ქრისტიანები (ფონდი 254 ანაწერი 3, საქმე 1291. ფურცელი 47-51).

„თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიწათმფლობელობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების კრებულიდან» 1890 წლის ამონაწერის მიხედვით, რომელიც ცხინვალისა და ქსნის უბნების დროებით ვალდებულ გლეხებს ეხებათ, სოფელ ახლოურთკარში ასევე 4 კომლია დაფიქსირებული, 16 მამრობითი სქესის მოსახლით.

1891 წელს დაბაკნეთის (მდებარეობს ცხრაზმის ხეობაში ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, ეკლესიის მღვდელი ყოფილა ონოფრე გიორგის ძე ეპიტოვი, რომელიც განაგებდა დაბაკნეთის საზოგადოების სოფლებს (11 სოფელი), ეპიტოვის მეფსალმუნე იყო ალექსანდრე ანტონის ძე ანდრიევი. „დაბაკნეთის სოფლებს» შორის მოხსენიებულია ახლოურთკარი 3 კომლით და 32 მოსახლით.

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით მონასტრის საზოგადოებაში შემავალ სოფელ „ახლაურში“ 11 კომლია აღწერილი, 32 მამაკაცი და 54 ქალი (86 სული) (საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები 1926, 166). 4 კომლიანი მოსახლეობის ასეთი ზრდა, არარეალური ჩანს. შესაძლებელია, ახლოურთკარს მეზობელ სოფელ ყველდაბის მცხოვრებლებიც მიათვალეს.

1939 საკავშირო აღწერაში ახლოურთკარი ცალკე სოფლად აღარ გვხვდება, ყველდაბის მცხოვრებთა შორის მოიაზრებენ, ისევე, როგორც 1959, 1970, 1979 და 1989 წლების დროს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020)...

როგორც მთელი საქართველოს, ისე ქსნის ხეობისა და სოფელ ახლოურთკარის მოსახლეობის დემოგრაფიას უმძიმესი დაღი დაამჩნია მეორე მსოფლიო ომმა, ისეთი პატარა სოფლიდან, როგორიც ახლოურთკარი იყო, ომში ექვსი მამაკაცი დაიღუპა (წიგნი მარადიული ხსოვნისა, 1987: 517).

ომის შემდეგ, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დემოგრაფიული ვითარება შედარებით გამოსწორდა, მომრავლდა მრავალშვილიანი ოჯახები. მოსახლეობა რამდენიმე შტოდ იყოფოდა: ბუქურაანი (გრიგოლ (გიგო) ახლოურის მეუღლის თინა ბუქურის პატივსაცემად), სოლომნიანი, ქვეითლიანი, შალოანი, გაბიდაანი. 60-იან წლებში ახლოურთში 11 კომლი ცხოვრობდა. გარდა ახლოურებისა, იმ დროისთვის სოფლის სიახლოვეს ისევ ცხოვრობდა ჩიტიშვილების ერთკომლიანი ოჯახი, რომლებიც აქ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრნენ.

როგორც აღვნიშნეთ ახლოურების მიგრაცია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, ამ დროისთვის უკვე მასიურად ხდება მათი ბარში ჩასახლება. მიგრაციის პროცესს მთიანი რეგიონის სოფლებიდან ბარისკენ თითქმის სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. „მთიელი მიგრანტები უპირველეს ყოვლისა თავისავე ხეობას მოუყვებოდნენ, ჯერ ხეობის მთისწინეთში, შემდეგ ბარში სახლდებოდნენ. თავიანთი ხეობების მთისწინეთისა და ბარის ათვისების შემდეგ, შიდა ქართლის მთიელთა მიგრაციული ნაკადები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებისაკენ იქნა მიმართული. ასე არიან გადასახლებული არაგვის ხეობელი მთიელები არაგვისავე ხეობის მთისწინეთსა და ბარში, ქსნისხეველები ქსნის ხეობის მთისწინეთსა და ბარში (სოფლები: ოძისი, ქსოვრისი, მუხრანი, ლამისყანა, ოკამი...), ლეხურას ხეობის მთიელები-ლეხურას ხეობის ბარში, მეჯუდას ხეობის მთიელები-მეჯუდას ხეობის ბარში და ა.შ.“ (თოფჩიშვილი, 2002: 83).

ქსნის ხეობის სოფლებთან შედარებით, ახლოურთკარიდან მიგრაციის გაცილებით ადრე დაწყება რთულ საცხოვრებელ გარემოსთან იყო დაკავშირებული. ზოდეხის მკვიდრმა ვახტანგ ხუციშვილმა სინანულით უწოდა „მირაჟივით ზღვისფერ ჰაერში მოლივლივე“ სოფელს უგზოობითა და დაუსაქმებლობით ჩამოხრჩობილი (ღუნაშვილი, 1997: 139).

ახლოურებს ერთ ნაწილს შუალედური რგოლის გავლა მოუწია. ჯერ მთიანი რეგიონიდან ქსნის ხეობის შედარებით ბარის სოფლებში დასახლდნენ, მოგვიანებით კი უფრო სამხრეთით გადმოინაცვლეს. ი. ახუაშვილის მონაცემებით, 2005 წლისთვის ახლოურების დიდი ნაწილი კასპში ცხოვრობდა - 107 კაცი, თბილისში - 56, ახალგორში - 45, სულ 228 ადამიანი (ახუაშვილი, 2005: 267).

2008 წლის აგვისტოს ომამდე ახლოურების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ახალგორის რაიონში მკვიდრობდა. მაგალითად, 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის მონაცემებით, სოფელ ყველდაბაში ჯერ კიდევ 28 მოსახლე იყო, 15 მამაკაცი და 13 ქალი, ქართველები. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ „ქვენაყველდაბა“ (ქვემო ყველდაბა), მთისწინეთი, სადაც, ძირითადად, სწორედ ახლოურები და ღარიბაშვილები ჩამოსახლდნენ, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე რჩებოდნენ მშობლიურ კერაზე (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 120).

აგვისტოს ომის შემდეგ, ახალგორის მოსახლეობა და, მათ შორის ახლოურებიც, დევნილებად იქცნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 4 იანვრის მონაცემებით ახლოურები სულ 237 ადამიანია, 118 კაცი და 119 ქალი.

რეგიონების მიხედვით:

შიდა ქართლი - 101 (46 მამაკაცი, 55 ქალი). თბილისი - 73 (38 მამაკაცი, 35 ქალი). მცხეთა-მთიანეთი - 58 (32 მამაკაცი, 26 ქალი). ქვემო ქართლი - 2 (1 მამაკაცი, 1 ქალი). იმერეთი - 1 ქალბატონი. სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1 ქალბატონი. ცხინვალის რეგიონი - 1 მამაკაცი.

ქალაქებისა და რაიონების მიხედვით:

გორი - 4 ადამიანი, 2 მამაკაცი, 2 ქალი. სამგორი - 5 (4 მამაკაცი, 1 ქალი). კასპი - 97 (44 მამაკაცი, 53 ქალი). ახალგორი - 39 (22 მამაკაცი, 17 ქალი). გლდანი - 23 (16 მამაკაცი, 7 ქალი). ისანი - 20 (7 მამაკაცი, 13 ქალი). დიდუბე - 10 (4 მამაკაცი, 6 ქალი). ნაძალადევი - 9 (5 მამაკაცი, 4 ქალი). მცხეთა - 11 (6 მამაკაცი, 5 ქალი). დუშეთი - 7 (4 მამაკაცი, 3 ქალი). საბურთალო - 4 (1 მამაკაცი, 3 ქალი). ჩუღურეთი - 2 (1 მამაკაცი, 1 ქალი). რუსთავი - 2 (1 მამაკაცი, 1 ქალი). ზუგდიდი - 1 ქალბატონი. საჩხერე - 1 ქალბატონი. ყაზბეგი - 1 ქალბატონი. ცხინვალი - 1 მამაკაცი.

დაბოლოს, სოფლის მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების გასაცნობად მნიშვნელოვანია ტოპონიმებზე დაკვირვება. მათი ერთი ნაწილი სალოცავებს უკავშირდება: ელიასქედი, წმინდა სამების ველები, ნიშიქედი, დიდღელის ხატი, ხატიმიწები, ხატის მსხლები... მოსახლეობის მიერ ახოს გატეხვაზე მიგვანიშნებს მამულების სახელწოდებები: გელიას ახო ქედი, ბეროს ნატეხი, გიგოს ახო, ასევე ზოგადი სახელები: სატეხები, ახოები... გელია, ბერო და გიგო ახლოურები ნახსენები არიან ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილ მეცხრამეტე საუკუნის კამერალურ აღწერებში. მთებს, ქედებს, სახნავ-სათეს მამულებს, წყაროებს, ხევებს უკავშირდებოდა ტოპონიმები: ბორხვენას ქედი, ბუქათავი, დიდმიწა, დიდღელე, ელიძირი, კალოსაქეთები, კვრინჩხები, კლდეფიცრები, მზვარე, მუხნარი, მწარიას ხევი, ნაზღლოვები, ნატუსრები, ნაფეტვრები, ოსოლთი, საგულეები, სადათვე, საკეცები, სამარილეს ქედი, სასვენების ქედი, საფულეების ქედი, საფურეთი, საღობის ქედი, სახიძრები, უნაგირა, უღლის ქედი, ფიწილეთის მთა, ქოთიაანთ წყარო, ქოძიეთი, ღვიათ ქედი, ყორნის ქედი, შანშიურები, ჩანჩხები, ჩირდილიმიწები, ცოდვიანი მთა, წულიათი, ჯორიტყე და ა.შ. გვხვდება მსხლის ჯიშებთან დაკავშირებული სახელები: აყირო, კვირიტავა,

სამარიამო, ცუნცლა (ცუნცლია) (ახლოური, 2018: 72-79)... თითოეული ეს ტოპონიმი ქართულია და სხვა ისტორიულ მასალასთან ერთად, გვიჩვენებს, თუ ვინ ცხოვრობდა ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ვისი იყო ეს მიწა-წყალი, რომელიც დღეს ასე იავარქმნილია. დრო ულმობელი მსაჯულია და თუ ოკუპაციის პერიოდი დიდხანს გაგრძელდა, ძირძველი ქართული სოფლები მალე ეკალ-ბარდით დაიფარება, წინაპართა საფლავების დიდი ნაწილზე კი ისედაც უკვე ბალახია გადავლილი.

დასკვნა

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროების, დემოგრაფიული ნუსხების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ მემოარული ხასიათის ჩანაწერების საფუძველზე შესწავლილია ქსნის ხეობის მთიანეთის მაღალ-მთიანი სოფლის, ამჯერად უკვე ნასოფლარ ახლოურთკარის წარსული.

ახლოურთკარის მოსახლეობის შესახებ პირველი ცნობები ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობებიდან გვაქვს, საიდანაც ჩანს, რომ XVIII საუკუნიდან სოფელში დამკვიდრდნენ უკანა ფშავიდან მიგრირებული გაბიდაურთა შთამომავლები.

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ახლოურთკარში მხოლოდ ახლოურები ცხოვრობდნენ, შემდეგ კი აქ სოფელ ჩიტიანთკარიდან გადმოსახლებული ჩიტიშვილების ერთი კომლი დასახლკარდა.

XVIII საუკუნის აღწერებიდან მოყოლებული ახლოურთკარი ხშირად მეზობელ ყველდაბის საზღვრებშია მითვლილი, თუმცა იმ პერიოდიდან უკვე იყო ცალკე სოფელი, თავისი მამულებითა და სალოცავებით.

ახლოურთკარში მეურნეობის დარგებიდან განვითარებული იყო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება, თუმცა, როგორც მთის მცხოვრებთა უმეტესობა, ახლოურებიც, ძირითადად, მეცხოველეობას მისდევდნენ და ცნობილი მეცხვარეები იყვნენ.

რთული საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რომელსაც თან უშუქობა და უგზოობა ერთვოდა, ახლოურთკარიდან მოსახლეობის მიგრაცია XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და 80-იანი წლების ბოლოს დასრულდა. ახლოურების მიგრაცია მოხდა ქსნის ხეობის მთისწინეთსა და ქართლის ბარში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

akhlouri, davit. (2012). sofel akhlourtkaris toponimebi. *ssip goris sakhelmtsipo sastsavlo universitetshi chatarebuli profesor genadi burchuladzis khsovnisadmi midzghvnili shromata krebuli.* (ახლოური, დავით. (2012). სოფელ ახლოურთის ტოპონიმები. *სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული*).

akhlouri, davit. (2018). sofel akhlourtkaris etnograpiuli kofis istoriidan. *sakartvelos kulturuli memkvidreobis dacvis erovnuli saagentos sametsniero seminari.* (ახლოური, დავით. (2018). სოფელ ახლოურთკარის ეთნოგრაფიული ყოფის ისტორიიდან. *საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო სემინარი*).

akhlouri, davit. (2020). ksnis kheobis mtianetis religiuri kofis istoriidan. *ssip goris sakhelmtsipo sastsavlo universitetis metertmete saertashoriso sametsniero konferenciis shromata krebuli.* №18. (ახლოური, დავით. (2020). ქსნის ხეობის მთიანეთის რელიგიური ყოფის ისტორიიდან. *სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული.* №18).

akhlouri, davit. (2023). ckhradzmis kheobis mosakhleoba xix saukunis 60-ian tslebshi. *ssip goris sakhelmtsipo universitetshi chatarebul metekvsmete saertashoriso sametsniero konferenciaze tsarmodgenili nashromi.* (ახლოური, დავით (2023). ცხრაზმის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში. *სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ მეთექვსმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომი).*

akhuashvili, iakob. (2005). *kartuli gvar-sakhelebi.* t. I. masalebi kartuli gvarebis istoriisatvis. tbilisi: gamomtsemloba „meskheti". (ახუაშვილი, იაკობ. (2005). *ქართული გვარ-სახელები.* ტ. i. მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის. თბილისი: გამომცემლობა „მესხეთი»).

gvritishvili, davit. (1955). *feodaluri sakartvelos sotsialuri urtiertobis istoriidan (kartlis satavadoebi*). tbilisi, gamomtsemloba «sakhelgami». (გვრიტიშვილი, დავით. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები).* თბილისი. გამომცემლობა „სახელგამი»).

goris istoriul etnografiuli muzeumi. kofili ksnis saeristavos mosakhleobis aghtsera 1804 tsels. shemosuli 1956 tsels. №7486. (გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი. ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წელს. შემოსული 1956 წელს, № 7486).

takaishvili, ekvtime. (2022). *tkhzulebani.* t. 12. tbilisi, gamomtsemloba "artanuji" (თაყაიშვილი, ექვთიმე. (2022). თაყაიშვილი, ექვთიმე. (2022). *თხზულებანი.* ტ. 12. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.)

topchishvili, roland. (2002). *sakartvelos istoriuli demograpiisatvis (*shida kartlis mtis mosakhleobis migraciis etnoistoriuli sakitxebi). tbilisi. (თოფჩიშვილი, როლანდ (2002). *საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის* (შიდა ქართლის მთის მოსახლეობის მიგრაციის ეთნოისტორიული საკითხები). თბილისი).

itonishvili, valerian. (1974). *kartlis mtielta qopa-tsxovrebidan.* tbilisi: gamomtsemloba „sabchota sakartvelo". (ითონიშვილი, ვალერიან. (1974). *ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო»).

itonishvili, vakhtang. (2003). *narkvevebi kartvel mtielta tradiciuli kofis istoriidan.* tbilisi: gamomtscemloba „mematiane." (ითონიშვილი, ვახტანგ. (2003). *ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან.* თბილისი: გამომცემლობა „მემატიანე»).

lashkhia, tea. (2004). mskhverplshetsirva – dveli kristianuli rituali. *istoriul-etnograpiuli dziebani.* ტ. 6. tbilisi. (ლაშხია, თეა. (2004). მსხვერპლშეწირვა - ძველი ქრისტიანული რიტუალი. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი.* ტ. 6. თბილისი).

makalatia, sergi. (1930). *mtiuleti*. tpilisi: gamomtsemloba „sakhelgami“. (მაკალათია, სერგი. (1930). *მთიულეთი*. ტფილისი: გამომცემლობა „სახელგამი»).

sakartvelos mosakhleobis 2002 tslis pirveli erovnuli sakoveltao aghtseris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba). t. ll. (2003). tbilisi. (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა). ტ. ii. (2003). თბილისი)

sakartvelos 1923 tslis aghtseris jamebi. (1926). sruliad sakartvelos 1923 tslis sasoplo-sameurneo aghtseris jamebi, natsili ii, demograpia, nakveti i, tfilisi (საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები. (1926). სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი ii, დემოგრაფია, ნაკვეთი i, ტფილისი.)

sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri. (2020). mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 tslebis aghtsereis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში).

f. 254, an. 1, saqme 367. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 367. (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367).

f. 254, an. 1, saqme 689. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 689. (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689).

f. 254, an. 1, saqme 1247. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247. (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247).

f. 254, an. 1, saqme 2038. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 2038. (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 2038. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 2038).

f. 254, an. 2, saqme 255. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 255. (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255).

f. 254, an. 2, saqme 226. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 226. (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 226. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 226).

f. 254, an. 3, saqme 1791. sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 3, saqme 1791. (სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1791. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1791).

somkhishvili, venera. (1981). *ksnis kheobis kartluri*- leksika - toponimika (masalebi), tekstebi. ckhinvali. (სომხიშვილი, ვენერა. (1981). *ქსნის ხეობის ქართლური,* ლექსიკა - ტოპონიმიკა (მასალები), ტექსტები. ცხინვალი).

sulkhan-saba orbeliani. (1991). *leksikoni kartuli.* I. tbilisi: gamomtsemloba „merani“ (სულხან-საბა ორბელიანი. (1991). *ლექსიკონი ქართული.* I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი».

ghunashvili, vladimer. (1997). *narkvevebi ksnis kheobis tsarsulidan.* I. publikaciebi. (ღუნაშვილი, ვლადიმერ. (1997). *ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან.* I. პუბლიკაციები).

chitaia, giorgi. (1940). Ksnuri mtis gutani. *enis, istoriisa da materialuri kulturis istoriis institutis moambe.* t. V-VI. tbilisi. (ჩიტაია, გიორგი. (1940). ექსპედიცია ქსნის ხეობაში. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე.* ტ. V-VI. თბილისი).

tsigni maradiuli khsovnisa. (1987). t. 2. tbilisi. (წიგნი მარადიული ხსოვნისა. (1987). ტ. 2. თბილისი.)

javakhishvili, ivane. (1901). Khalkhis aghtseris da shemosavlis davtrebi sakartveloshi. *jurnali „moambe“.* № 4, gank. II. tpilisi. (ჯავახიშვილი, ივანე. (1901). ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში. *ჟურნალი „მოამბე“.* ტფილისი. №4, განყ. II).

javakhishvili, ivane. (1967). *sakartvelos ekonomikuri istoriis dzeglebi.* tsigni l. demografiuli dzeglebi. agmosavlet sakartvelos XVlll saukunis khalkhis aghtseris davtrebi. tbilisi: gamomcemloba „metsniereba» (ჯავახიშვილი, ივანე. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები.* წიგნი I. დემოგრაფიული ძეგლები. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება»).

japaridze, gocha. (1978). *narkvevi kartuli metrologies istoriidan* (IX-XIX სს.). tbilisi. (ჯაფარიძე, გოჩა. (1978). *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან* (IX-XIX სს.). თბილისი).